



პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA

PRESS RELEASE

დაუყოვნებლივ გავრცელებისათვის
14 მაისი, 2020, 12:00 საათი
დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
სსმს საზ. ურთიერთობის სამსახურს

აშშ საქართველოსთვის COVID-19-ის საპასუხოდ დახმარებას აძლიერებს

თბილისი - 14 მაისი, 12:00 საათზე, საქართველოში აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის დირექტორმა პიტერ ვიბლერმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს იოსებ ჭელიძეს და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს თემურ მღებრიშვილს, ამერიკელი ხალხის სახელით საველე ჰოსპიტალები გადასცა. აღნიშნული საველე ჰოსპიტალები მნიშვნელოვნად დაეხმარება საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის დამლევაში მთელი ქვეყნის მასშტაბით. ჰოსპიტალების გადაცემის ცერემონია შედგება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოფისში, მისამართზე: ვახტანგ გორგასლის ქ. 83ა.

USAID-ის პროექტი „ზრდა საქართველოში“ და მისი პარტნიორი - "ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ (RDFG) დაეხმარა საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და შეუძინა საველე ჰოსპიტალები, რომელთა მოცულობა 45 კვადრატულ მეტრს შეადგენს და ასევე 20 კვადრატული მეტრის მოცულობის საველე კარვები, აღჭურვილი გათბობის სისტემით. პანდემიის პირობებში კარვები განთავსდება ქვეყნის მასშტაბით მოწყობილ საკარანტინე ზონებში, ხოლო კრიზისის აღმოფხვრისთანავე აღნიშნული კარვები გადაეცემა საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სახანძრო-სამაშველო დეპარტამენტის, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული უსაფრთხოების დანაყოფს.

საქართველოსთვის აღნიშნული კარვების გადაცემა აშშ-ს მთავრობის გლობალური მხარდაჭერისა და დახმარების ნაწილია, რომელიც ქვეყანას COVID-19-ით გამოწვეულ პანდემიასთან ეფექტიანად ბრძოლაში დაეხმარება და თანამედროვე აღჭურვილობის ხარჯზე, საგანგებო სიტუაციების მიმართ საპასუხო მზაობა გაუმჯობესდება.

დღემდე აშშ-ს მთავრობამ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და სხვა სამსახურების ჩართულობით, COVID-19-ით გამოწვეულ კრიზისთან გასამკლავებლად, მსოფლიოს მასშტაბით მრავალი ჰუმანიტარული დახმარება განახორციელა. საქართველოში, აშშ-ს მთავრობამ ადგილობრივ მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით მყისიერი ზომები მიიღო პანდემიის გავრცელების შესაჩერებლად, ასევე დიდი დახმარება გაუწია პოსტ-პანდემიური ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად მომზადების მიმართულებით.



პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, ერთიანი სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებასა და სამოქალაქო უსაფრთხოების, ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელებას.

USAID-ის საქმიანობის შესახებ საქართველოში: 1992 წლიდან, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ამერიკელი ხალხი, მხარს უჭერს საქართველოს თავისუფალი და განვითარებული დემოკრატიის მშენებლობაში. USAID-ის 30-ზე მეტი მიმდინარე პროგრამა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, ენერგოუსაფრთხოების გაძლიერება, ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება, მზარდი სოციალური ინტეგრაცია. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 81 თემში. პროექტი განხორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნეს კავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>; www.zrda.ge

„ასოციაცია სამზარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ (RDFG) შესახებ: კატასტროფის რისკის შემცირების ცენტრის (DRR Center) ფარგლებში, RDFG მუშაობს იმისთვის, რომ გააძლიეროს ადგილობრივი თემების მედეგობა ტექნოგენური და ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული კატასტროფების მიმართ; ასევე, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, საზოგადოებას, სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს, კოორდინირებული და სისტემური ცნობიერების ამაღლების, უნარების გამოუმუშავებისა და ტექნიკური დახმარების გზით, ხელს უწყობს კატასტროფის რისკის შემცირების მიმართულებით პრევენციული კულტურის განვითარებაში. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: www.rdfg.ge www.facebook.com/WWW.RDFG.GE